ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №-122

2010 წლის 25 ნოემბერი
ქ. ქობულეთი

„ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ციტრუსოვანთა ნაყოფის მიმღები პუნქტების განთავსების შეზღუდვის შესახებ“ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 29 ოქტომბრის №-113 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

„ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესახებ“ საქართველოს კანონის 63-ე მუხლის შესაბამისად:

1. ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 29 ოქტომბრის №-113 განკარგულებას „ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ციტრუსოვანთა ნაყოფის მიმღები პუნქტების განთავსების შეზღუდვის შესახებ“ დაემატოს 1^1 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“1^1 ციტრუსოვანთა ნაყოფის რეალიზაციის მიზნით პუნქტები განთავსებულ იქნას:

ტერიტორიულ ორგანოებში (გარდა ქალაქ ქობულეთისა) – ადმინისტრაციული შენობების მიმდებარედ.

ქალაქ ქობულეთის ტერიტორიულ ორგანოში ციტრუსოვანთა ნაყოფის რეალიზაციის მიზნით პუნქტები განთავსებულ იქნას ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობასთან შეთანხმებით.

2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №-30).

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე ნ. ბერაძე